572
1973/2

1973 თებერვალი N2

ცისარტყელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველ

თედო ბექიშვილი

მივდევთ ველებს,
მივდევთ მინდვრებს,
ვხედავთ ფერებს—რა ფერებ
მამიკონა მანქანას
ყოველ წუთში აჩერებს...
საქართველოს სილამაზით
გული ვერ შევაჯერეთ!

ვის რა ამშვენებს?

ჯანსუღ ნიქაბაძე

ცას მზე და მთვარე ამშვენებ
და ვარსკვლავების გუნდი.
ზღვას—გემი,
ქედებს—ცხვრის ფარა,
ვაჟკაცს—ნამუსის ქუდი...
შენ კი, პატარა ქართველო,
სუყველაფერში—,,5‘‘!

ნახატი მანანა მორჩილაძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

19/43

ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები

რევაზ ინანიშვილი

ნახატები ზურაბ კაპანაძისა

კრწანისის ომში დამარცხებულმა ერეკლე მეფემ, რამდენიმე თანმხლებთან ერთად, არაგვის ხეობას შეაფარა თავი. დღესაც არავინ იცის, სად იმყოფებოდა სამ დღეს, მეოთხე დღეს კი ანანურის ციხეში გამოჩნდა. ეს გამოჩენაც იდუმალებით იყო მოცული, ციხის ბურჯებზე გუშაგებს უმატეს, მალიმალ მიმოქროდნენ თავდაღუნული მდუმარე მხედრები, სოფლებში ჩურჩულითა და ვიშ-ვიშით გადადიოდა ხან ერთი ამბავი, ხან მეორე. დედაკაცები მუხლებში იცემდნენ ხელებს, მხრებაცახცახებულნი თვალებზე იფარებდნენ მოსახვევის ბოლოებს.

ნაშუადღევს რაღაც ჩოჩქოლი ატყდა ციხის ეზოში. მეციხოვნეებს ვიღაც ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი შეეპყროთ, კარისკენ ეწეოდნენ, მაგრამ ბიჭი არ ნებდებოდა, წიხლებს ისროდა, იკბინებოდა და ყვიროდა:

— მეფესთან მიმიშვით, დიდი საქმე მაქვს, მეფესთან მიმიშვით!

მეციხოვნეები პირზე ხელს აფარებდნენ, წააქციეს, ზოგი ფეხებში ჩაეკიდა, ზოგი—ხელებში, ასწიეს, ასე წაიღეს, ბიჭი მაინც იბრძოდა და ყვიროდა:

— დიდო მეფეო! დიდო მეფეო!

ამ ჩოჩქოლსა და აურზაურში კოტლობით, მაგრამ ჩქარი ნაბიჯით, შემოვიდა ციხისთავი. მარცხენა ხელი კისერზე ჰქონდა დაკიდებული ქალის მანდილით. მეციხოვნეებმა რომ დაინახეს, გაჩერდნენ, ბიჭი ძირს დასწიეს, ხელი მაინც არ გაუშვიათ.

— რა ამბავია, რა მოხდა?—იკითხა ციხისთავმა.

— მეფესთან მიმიშვითო, დილას აქეთია აფთარიგით უვლის ციხეს. გავაგდეთ, ვცემეთ, მაინც გადმობობღდა გალავანზე.—მიუგო ერთმა მეციხოვნემ.

მიწაზე გულაღმა გაკავებულმა ბიჭმა ამოიბრძოლა, თავი ვერ გაითავისუფლა და დაბლიდან ამოიმუდარა:

— მიმიშვით, თქვენი ჭირიმე, დიდი საქმე მაქვს, ქვეყნისთვის საჭირო საქმე.

ციხისთავმა ვერაფერი თქვა, თვალი კოშკისკენ გაექცა. იქიდან თითქოს ვიღაცამ რაღაც ნიშანი მისცა, ციხისთავმა თავი დაუქნია და მეციხოვნეებს უბრძანა:

— გაუშვით ხელი!

მეციხოვნეებმა ბიჭს ხელი გაუშვეს. ბიჭი წამოდგა, შარვალი მიიწ-მოიწია, მტვერი ჩაიბერტყა, ერთმა მეციხოვნემ დაძენძილი ნაბდის ქუდი მიაწოდა.

— სადაური ხარ?

— აქაური.

— რომლისა?

— მზევარისა.

— რა გინდა მეფესთან?

— პირადად უნდა მოვახსენო.

— გაჩხრიკეთ.

მეციხოვნეები ეცნენ და ჩხრეკა დაუწყეს; ბიჭი ხელგაწეული იდგა და მოთმინებით იცდიდა, როდის მორჩებოდნენ ამ რაღაცით უკვე სასიამოვნო საქმეს. მარტო ხელისგულისოდენა ქერის ხმიადის ნატეხი და ნივრის ორი კბილი ამოუღეს ჯიბიდან, ისიც მაშინვე დაუბრუნეს.

— წამომყევი.

ბიჭმა ერთხელაც გაისწორა დაძენძილი შარვალი და ციხისთავს გაჰყვა. დაბალი იყო, განიერი, როგორღაც გან-განზე მიჰქონდა მძიმე, დაშაშრული შიშველი ფეხები. გაიარეს გრილი კედლებით შემოზღუდული ლაბირინთი, ავიდნენ კიბეებზე და ერთ კარს მიადგნენ. იმ კარს აქეთ-იქიდან თოფიანი მცველები ედგა. ციხისთავმა ბიჭი აქ დატოვა და თვითონ შიგნით შეავიდა. გაღებულ კარში ბიჭმა დიდებული იერის მოხუცი დაინახა. გუმანმა უთხრა, მეფე ეს უნდა ყოფილიყო, გაიწია, მაგრამ მცველებმა არ გაუშვეს, თოფები გადაუღობეს.

— გამოატარეთ!—მოისმა ციხისთავის ხმა.

ბიჭი კარში შევიდა. ციხისთავმა მხარზე ხელი მოსდო, ლოტაზე ასე წაჰყვა და მერე გვერდზე გადგა.

რაღაცისათვის ტახტისკენ დახრილი მოხუცი მეფე ბიჭისკენ შემობრუნდა, ნელ-ნელა აიწია, გასწორდა. ბიჭმა სახეში შეხედა, ფეხი აერია, ჩაიჩოქა, და ასე—მუხლებზე ჩაჩოქილი, აცრემლებული წავიდა მეფისკენ. მეფე შეწუხდა, თვითონ წამოვიდა ბიჭისკენ, მხრებში ხელები მოჰკიდა, წამოაყენა. ბიჭი ცდილობდა, მაგრამ ტირილი ვერ შეეკავებინა, მეფემაც რამდენჯერმე უმწეოდ დაახამხამა თვალები, მაგრამ ეს თვალები მიჩვეულნი იყვნენ მსგავს სანახაობებს და სწრაფადვე დაიბრუნეს სიმტკიცე.

— დამშვიდდი, ნუარფრის გეშინია, შვილო,—თქვა მეფემ წყნარი, ბზარგარეული ხმით.

— მე არაფრისა მეშინია, მეფევ.

— აბა, რა გიჭირს, რამ შეგაწუხა, შვილო?

— თათრები არ უნდა მოგვეოდნენ, დიდო მეფევ. თათრები ჩვენი მომრევები არ არიან!

მოხუცმა მეფემ შუბლზე ხელის ზურგი აისვა, თითქოს ჩამოწეწილი თმა აიწია მაღლა.

— მდიდრები გლალატობენ, მეფევ!—ბიჭმა ღონივრად შეკუმშული ხორკლიანი მჯიღი ნიკაპთან მიიტანა,—მდიდრებს რატომ ენდობი, დიდო მეფევ! მდიდარი ლამაზია, მდიდარს შინ ქონება რჩება, ძვირფასი რამეები რჩება. გაჭირვებაში მტერსაც მისცემს და თვითონაც ეყოფა. მდიდარი ბრძოლაში თავს რად დას-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებს! ომში ჩვენ უნდა წაგვიყვანო; ობლები, უქონლები, ულამაზოები, გაჭირვებაში გამოჩეჩქვილები. ქვეყნის იმედით ჩვენა ვცხოვრობთ. ჩვენ ვინ რას უნდა მოვუფრთხილდეთ! აბა, შემომხედე, სხვებიც ჩემნაირები არიან, ქვიდან გამოტეხილი ქაჯები და ეშმაკები! ჩვენ ჭრილობები ვერ დაგვამახინჯებს, პირიქით, მოგვიხდება კიდეც. გაგვიძეხი, მეფევ. ჩვენ გაგვიძეხი! ასამდე ობოლს, ქვრივ-ოხრის შვილს, კომბლიანებს მე გამოვიყვან მარტო! გაგვიძეხი, მეფევ და, შენი თვალით ნახავ, ჩვენი მომრევი არავინ არის ქვეყანაზე. შვიდი კომბლიანი აქვე მიცდის, ციხის ძირში.

მეფემ ერთხელ კიდევ აისვა შუბლზე ხელი და ტახტზე დაჯდა. ბიჭისთვის თვალი არ მოუშორებია, ხელი ახლა მუხლზე ედო, მოიჭერდა მუხლზე და გაშლიდა, მოიჭერდა და გაშლიდა...

— შეგიძლია, ისინიც მოიყვანო?

— კომბლებიანად?

— კომბლებიანად.

— ახლავე.

ბიჭი მიბრუნდა და ჯიქური ნაბიჯით წავიდა. მაგრამ უცებ შედგა და აბნეულმა მიმოიხედა. თურმე კარს ასცდენოდა. ბედად ციხისთავმა მოუსწრო,—აქეთ, მზევარის ბიჭოო,—და წინ წაუძღვა.

* * *

არ გასულა ნახევარი საათი და ციხისთავი და მზევარის ბიჭი კუშტად გამომზირალ, აჯარგულ, აფხორილ კომბლიან ბიჭებს შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუძღვნენ დარბაზში. ახლა მზევარის ბიჭსაც გატუსული, ბევრი ხმარებისაგან გაპრიალებული, ვეებათავიანი შვინდის კომბალი ეჭირა. ციხისთავმა ამჯერადაც გვერდზე გაიწია და ბიჭებს ანიშნა, აქ გაჩერდითო. ბიჭები შეჯგუფდნენ, ერთმანეთისკენ მიიწიეს, ერთმანეთის ზურგებს ამოეფარნენ და კომბლები მორიდებით ჩაიყუდეს შიშველ, გაუხეშებულ ფეხებს შორის.

მეფე წამოვიდა, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა და მზევარის ბიჭს ღიმილით ჰკითხა:

— ესენი არიან შენი ულამაზოები?

— ესენი, დიდო მეფევ. ამ კომბლებით ვისაც გინდათ, იმას გაუმკლავდებიან.

ბიჭები უარესად დაიკოხნენ. მათი კომბლები უფრო მტკიცედ გაჩერდნენ ჰაერში. მეფემ ყველა ბიჭს ხელი ჩამოართვა, ცოტა უკან დაიწია, უყურა, უყურა და გულში გამდნარ ტყვიასავით ჩაღეღვენთა:

„საცოდავი ქვეყნის საცოდავი შვილები"... ხმამაღლა კი ეს თქვა—მშვიდად, დაყვავებით:

— სულ მალე დაგიძახებთ, ბიჭებო. მაჰმადა ხანს ერთი ათად უნდა ვაზღვევინოთ ჩვენი სისხლი. ახლა მდივანი ჩაგწერთ და თქვენ-თქვენს სახლებში წადით. როცა დრო დადგება, დაგიძახებთ.

— ოღონდ მდიდრების გვერდით არ დავდგებით!—წამოიძახა მზევარის ბიჭმა.

— არა, თქვენი რაზმი ცალკე იდგება!—მეფემ ხელი მაღლა ასწია.

ციხისთავი წინ წამოვიდა და ბიჭებს ანიშნა, წასვლის დროაო. მზევარის ბიჭმა მისი მკლავის ზემოდან ერთხელ კიდევ დაუძახა მეფეს:

— ჩვენ-ჩვენი კომბლებით უნდა წამოვიდეთ.

— თქვენ-თქვენი კომბლებით, რა თქმა უნდა, —მიუგო მეფემ.

* * *

გაიარეს გადახრილი მზით განათებული ციხის ეზო, გვერდზე გაიყოლეს გრძელ-გრძელი ჩრდილები და მერე ნელ-ნელა ჩავიდნენ ბნელ ლაბირინთში, თითქოს სამუდამოდ ჩაეფარნენ მიწას.

ოთხმოცი წლის შემდეგ კი, ანანურზე გამავალი სამხედრო გზის პირას, ხშირად იდგა ხოლმე ვეებათავიან კომბალზე დაყრდნობილი მთლად გადათეთრებული უსახნათლო მოხუცი, რომელიც ყოველ ზემოთამვლელს ეკითხებოდა,— დამძახებელი ხომ არა ხარ ქალაქიდანო. ვინც მოხუცს არ იცნობდა, ეღიმებოდა, ვერ ხვდებოდა, ვინ დამძახებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინც იცნობდა, ეტყოდა,—არა, დამძახებელი არა ვარ, მზევარის ბიჭოო,—და თავჩაღუნული, სევდაშემოწოლილი განაგრძობდა გზას.

მოხუცს ქინთა-ქინთად ქცეული ახალუხის ჯიბის პირზე სამი რუსული ძველი მედალი ეკიდა—გამურულ ქვაზე დაღვენთილი წმინდა სანთლის ფერისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის სახელოსნოში

გიორგი შეთეკაური

სკოლის სახელოსნოა
ნათელი და ვრცელი;
იკერება მოსწავლის
ფორმის ტანსაცმელი.

აქ ამზადებს ფარშავანგი
ქსოვილს ათასფერადს,
მერცხალი ჭრის და კოდალა
კერავს, კერავს, კერავს.

ნახატები ბესო ხიდაშელისა

მშვიდობაში, სიხარულში

მზია ჩხეიშვილი

ჭრაჭა-ჭრუტი,
ჭრაჭა-ჭრუტი,
ჭრაჭა-ჭრუტი,—ჭრაჭუნა;
ახალთახალ ფეხსაცმელებს
აჭრაჭუნებს ხათუნა.

ჭრაჭა-ჭრუტი,
ჭრაჭა-ჭრუტი,—
მიდის, მოდის ჭრაჭუნით,
მშვიდობაში, სიხარულში
ეს ბაჩები, ხათუნი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორიგე

ნოდარ კეკელიძე

ნახატები ზაურ ლეისაძისა

გათენდა. მაღვიძარამ ერთ ხანს იწკარუნა და გაჩერდა. მაიკომ თვალები მოისრისა, მაღვიძარას საყვედურით გადახედა, მერე ერთი უნიათოდ დაამთქნარა და გვერდი იცვალა.

— მაიკო! — შემოესმა მაიკოს ბებოს ხმა, — ტყუილად დაიდგი, შვილო, მაღვიძარა? ადექი, სკოლაში გაგვიანდება!

— უუ! — გაიზმორა მაიკო, — ბებო, იქნებ მაღვიძარა ტყუის, ჰაა?

— რას ამბობ, შვილო! მაღვიძარას რას ერჩი, ზუსტად შვიდ საათზე გაგაღვიძა.

მაიას რაღა ეთქმოდა, წამოდგა და ზანტად შეუდგა ჩაცმას.

— მაია, იჩქარე, დრო აღარ იცდის! — აჩქარებს ბებო და თან საუზმეს უმზადებს.

მაიკო ძალზე კმაყოფილია სკოლით. ასე ამბობს, საბავშვო ბაღს ნამდვილად სჯობიაო. თუმცა ერთი რამ მაინც არ მოსწონს, — ახლა სათამაშოდ ყველაზე ნაკლები დრო რჩება. გავა თუ არა ეზოში, მაშინვე უკან მისდევენ: მაიკო, გაკვეთილები! მაიკო, მუსიკა!..

მაიკოს კლასში მორიგეობაა შემოღებული. ყველა მისი ამხანაგი რიგრიგობით მორიგედ ინიშნება. დილით ადრე მოდიან, მკლავზე წითელ ნაჭერს გაიკეთებენ, საკლასო ოთახს ალაგებენ და გაკვეთილების დამთავრებამდე, კარგი დიასახლისებივით კლასში ტრიალებენ.

პირველხანებში მაიკო დიდი მონდომებით მორიგეობდა. მერე და მერე მობეზრდა, უფრო სწორად, არ მოსწონდა, რომ მისი მორიგეობისას ამხანაგები გარეთ, სკოლის ბაღში, დახტოდნენ, თამაშობდნენ და მაიკო კი ფანჯარაზე გადაკუდებული ნაღვლიანი თვალებით გადაჰყურებდა მათ. თანაც დალაგებისას ისე ლაზათიანად ამოითხუპნებოდა, რომ შინ მისულ მაიკოს საკუთარი ბებოც კი ვეღარ სცნობდა.

მაიამ ბევრი იფიქრა, თუ როგორ აეცდინა მორიგეობა და ერთ დღეს, როდესაც ვარო მასწავლებელმა გააფრთხილა, ხვალ შენ ხარ მორიგეო, ერთი აზრი მოუვიდა თავში. მივიდა თუ არა შინ, ბებოს მივარდა და უთხრა:

— ბებო, ხომ გიყვარვარ?

— რას ამბობ, ბებია შემოგევლოს, შენს მეტი ვინა მყავს, შვილო!

— მაშინ ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილო, არ გამთქვა, კარგი?

— კი, შვილო.

— იცოდე, მხოლოდ მე და შენ უნდა ვიცოდეთ!

— კი, ბატონო, — დაყაბულდა ბებო. შვილიშვილი კალთაში ჩაისვა და სმენად გადაიქცა.

— ბებო, ხვალ ისევ მორიგე ვარ! — მაია შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხებული სახით მიაჩერდა ბებოს.

— მორიგე ხარ?—ჩატომლაც არც ბებოს ესიამოვნა.

— აბაა!..

— კიდევ მოთხუპნული უნდა მოხვიდე?

— მაშ!—გამოცოცხლდა მაია,—თანაც ისე მტკივა ხელები, ისე მტკივა, რომ ღამისაა ვიტირო!

— უი, დამიდგეს თვალები!—მუხლებზე დაირტყა ხელი ბებომ,—მერე და როგორ იმორიგეგვებ, შვილო, აბა, მიჩვენე ხელები!

მაიკომ პატარა ხელები ბებოს კანკალით გაუწოდა.

— ჰოდა, ერთი თხოვნა მაქვს შენთან!—ხმას დაუწია მაიამ,—რა მოხდება, კლასი შენ დამიღაგო, ჰა?

— ოღონდ შენ ხელები ნუ გეტკინება და მაგაზე ადვილი სამსახური რა არის?

— მხოლოდ, ბებია, ქვეყანაზე არავის გაუმხილო, კარგი?

— მაგის დარდი ნუ გაქვს!—დაიმედა ბებომ.

— ჩემი კლასი ხომ იცი? კიბეზე რომ ახვალ, მაშინვე მარჯვნივ გაუხვევ და ზედ აწერია II² კლასი.

მეორე დღეს, სკოლიდან მობრუნებულ ბებოს მაია კართან შეხვდა.

— რა ჰქენი, ბებო?

— დავალაგე,—ჩასჩურჩულა ბებომ, ისე დავაწკრიალე, ერბო აიკრიფება.

მაიამ ისაუბმა თუ არა, ჩანთას ხელი დაავლო და სკოლისაკენ სულ კუნტრუშ-კუნტრუშით გასწია.

კიბის თავში მაიას ვარო მასწავლებელი შემოხვდა.

— მაია, ეს არის შენი დალაგებული კლასი?

— დიახ, მასწავლებელო!—ამაყად მიუგო მაიამ.

— განა ასე ასრულებენ დავალებას? აბა, წამოდი.

მაია და ვარო მასწავლებელი კლასში რომ შევიდნენ, მაია მოულოდნელობისაგან ადგილზე გაშეშდა. კლასი ისე იყო არეულდარეული, რომ თაგვი კუდს მოიტეხავდა.

— ახლა რას იტყვი?

— მე... მე...—ენა დაება მაიას და თვალზე ცრემლი მოადგა.

თურმე ნუ იტყვით და, მაიას ბებოს II² კლასის ნაცვლად II¹ კლასი დაულაგებია.

— ოჰ, ბებო,—ბუზღუნებდა შინისაკენ მიმავალი მაიკო,—ველარ მითხარი, თუ კითხვა არ იცოდი?!

ის დღე იყო და ის დღე, მაიკოს თავისი გასაკეთებელი საქმე აღარავისათვის მიუნდვია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვე გოგონა

ბაბუ მეგურიშვილი

ნანა ძილის გუდაა,
არ ამდგარა ჯერ,
თამრო ადრე წამოხტა,
კითხულობს და წერს.
წუთით ხელს არ აჩერებს,
ალაგებს და გვის.
ასე მარჯვე გოგონა,
ნეტა, ვის ჰყავს, ვის?

აკლაკუდა

ობობამ ბადე მოქსოვა,
ნამდვილი ბადის ხელა.
რაც ბუზი იყო ეზოში,
შიგ გაიხლართა ყველა!
გახარებული მობობღავს
ბუზების შესაჭმელად.

ნახატები **თამაზ ხუციშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინია და ნაგაზი

ავთანდილმა,
ზურაბმა,
მამუკამ და გაგამ,
პაწაწინა ფინია
მიუსიეს ნაგაზს.
დაიყეფა ნაგაზმა,
არემარე შესძრა.
შეეშინდა ფინიას,
საქათმეში შეძვრა.
ამხნევებენ ბიჭები:
— გამო, ნუ გეშინია,
მაგრამ გარეთ, არადა,
არ გამოდის ფინია!

გალია

ირაკლიმ და არჩილმა
გააკეთეს გალია.
ჩიტი ვერ დაიჭირეს,—
ჩიტი მალზე მალია
და შიგ ჩასვეს პატარა
ყვინჩილა და ვარია.

ხარბი ბიჭი

როდიონ ქორძია

ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხარბი ბიჭი. ისეთი ხარბი იყო, ისეთი, რომ ყველაფერი თავისთვის უნდოდა და სხვისთვის არაფერი ემეტებოდა. ერთხელ მამამ დიდი, წითელი ბურთი მოუტანა.

— დაუძახე ამხანაგებს და ერთად ითამაშეთ,—უთხრა მამამ.

მაგრამ ბიჭმა არავინ მიაკარა ბურთს. გაიტანდა ეზოში და მარტო თამაშობდა, სხვები კი დაღონებულები უყურებდნენ, რადგან ასეთი წითელი ბურთი არავის ჰქონდა.

ერთხელ ერთმა ბიჭმა, როგორც იქნა, გაბედა და ბურთს ხელი მოჰკიდა,—მათამაშეო,—სთხოვა ხარბ ბიჭს.

ხარბმა ბიჭმა უარის ნიშნად გაჰკრა ბურთს ფეხი და უკან გაეკიდა.

მირბის ბურთი, მისდევს ბიჭი... შუადღემდე სდია, მაგრამ ვერ დაეწია.

შუადღისას ერთ სოფელს მუახლოვდა. სოფლის თავში ოსტატი იჯდა და ბურთებს ჰკერავდა. ბურთი ამ ოსტატს ფეხებთან მიუგორდა. ხარბი ბიჭი ოსტატთან მივიდა და უთხრა:

— ბურთი ჩემია და მომეცით!

— წაიღეთ!—უთხრა ოსტატმა.

ბიჭმა ბურთს ხელი დასტაცა, მაგრამ ადგილიდან ვერ დასძრა. ახლა ორივე ხელით სცადა აღება, მაგრამ მაინც ვერ დასძრა. შერცხვა, ცრემლები მოერია.

— წაიღე, რატომ არ მიგაქვსო?—ჰკითხა ოსტატმა.

ბიჭი ხმას არ იღებდა, არ იცოდა, რა ეპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუხნა; ცრემლები კი ღაპაღუპით სდიოდა.

— იცი, რა გითხრა,—უთხრა ოსტატმა ბიჭს,—ეს ბურთი ჩემი შეკერილია. ამ ბურთით ადამიანმა ადამიანთან უნდა ითამაშოს, ადამიანმა ადამიანთან უნდა გაიხაროს. მარტო თამაში და მარტო სიხარული არ შეიძლება. მარტო მგელი ცხოვრობს ტყეში. აჰა, წაიღე და გიყვარდეს სხვასთან თამაში!

ოსტატი დასწვდა ბურთს და მიაწოდა ბიჭს. ბიჭმა გამოართვა. ბურთი ისევ ისე მჩატე იყო.

დაბრუნდა ბიჭი შინ. შეკრიბა მეზობლის ბიჭები და სთხოვა, ერთად ვითამაშოთო. გაეხარდათ ბიჭებს. გაეხარდა ხარბ ბიჭსაც. მიხვდა, რომ ადამიანმა ადამიანთან უნდა გაიხაროს...

ტაშ-ფან დურა

ᲠᲝᲡᲐᲠ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲐᲠᲘᲫᲔ

ეს ამბავი
გავიგონე
გრძელულვაშა ხალხში.

ცალკე იყო
ფანდური და
ცალკე იყო ტაში.

ერთი ბარში
დადიოდა.
ერთი კიდევ მთაში.

როცა შეხვდნენ
ერთმანეთსა,
დაძმობილდნენ მაშინ:
აწკრიალდა
ფანდური და
აგრიალდა ტაშიც.

ამის შემდეგ
ერთად ყოფნა
დაადგინეს წესად;
ტაშ-ფანდურა
ეწოდათ და,
ასე ჰქვიათ დღესაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურდღელი და ნიანგი

აფრიკული ზღაპარი

ნახატები **ზურაბ ფორჩხიძისა**

კურდღელი და ნიანგი მეზობლები იყვნენ. სიამტკბილობით ცხოვრობდნენ.

ერთხელ კურდღელი ნიანგს ესტუმრა.

ნასაღილევი ნიანგი მზეზე ნებივრობდა. ირგვლივ ბუჩქები გაკვირტულიყო და მსუყე ბალახი ბიბინებდა.

— გამარჯობა, ბიძიკო!—მიესალმა კურდღელი. თან გულში გაიფიქრა: „ნახე, რა ზარმაცია, ირგვლივ ასეთი აბიბინებული ბალახი და ბუჩქებია და ყურადღებასაც არ აქცევს“.

— ნუ მალვიძებ!—ნამძინარევი ხმით წაიბურტყუნა ნიანგმა.

კურდღელს ეწყინა: „აი, თურმე როგორია,— ჩემი სტუმრობა, არ ესიამოვნა! კარგი, ჩემს თავს თვითონ მივხედავ: სულელი უნდა იყო, ასეთი გემრიელი ბალახი ნახო და არ დაკრიფო,“— გაიფიქრა კურდღელმა.

და ბალახის კრეფას მიჰყო ხელი,—შინ ხომ მშიერი ბაჭიები ელოდნენ. ბალახს რომ აგროვებდა, მძინარე ნიანგს შემთხვევით კუდზე დააბიჯა ფეხი. ნიანგს გაელვიძა და ჩახლეჩილი ხმით დაღრიალა:

— დაიკარგე აქედან, შე ქურდო, შენა!—თან კბილები ისე გაბოროტებით გააღრჭიალა, რომ კურდღელს თავზარი დაეცა, თავქუდმოგლეჯილი ისე გაიქცა, უკან არ მოუხედავს.

შეშინებულმა შინ რომ მიირბინა, ოჯახის წევრები შემოეხვივნენ და დამშვიდება დაუწყეს.

— იცით?—შესჩივლა მათ კურდღელმა,—ცოტა ბალახი მინდოდა დამეგლეჯა და თქვენთვის მომეტანა, მაგრამ კინაღამ ნიანგის ღუკმა არ გავხდი! მას ხომ ბალახი არაფერში სჭირდება! ეს არის საქმე?!

— სულ გაგიჟებულა ის საწყალი და ეგ არის!— თქვა კურდღლის დედინაცვალმა.

ბაჭიები მიხვდნენ, თუ ღლეს რატომაც დარჩნენ უვახშმოდ და ნიანგზე საშინლად გაბრაზდნენ.

მამა კურდღელმა განაცხადა:

— რაიმე უნდა მოვიფიქროთ და ნიანგს სამაგიერო გადავუხადოთ.

მძინარე ნიანგს გარს შემოუწყვეს ხმელი ბალახი და ცეცხლი წაუკიდეს. თვითონ კი ბუჩქებში მიიმალნენ და სეირს უყურებდნენ.

აბრიალდა ცეცხლი.

— ტკაც, ტკუც, ტკაც, ტკუც!—ისმოდა ცეცხლის ხმა. ნიანგი არ იღვიძებდა. საშინელი ბოღი დადგა. ნიანგს ძილში ხვეული აუტყდა. მეორე მხარეს გადაბრუნდა, იქნება, არ დამახველოსო, მაგრამ არაფერმა უშველა.

— უჰ, უჰ, რა ამბავია, სუნთქვა მეკვრის,— დაიბურტყუნა.

ბოღმა თვალები დაწვა. პირი დააფჩინა, სუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი **ვაჟა დათებაშვილისა**

თა ჰაერს ჩავისუნთქავო, მაგრამ ჰაერის მაგივრად პირში ცეცხლის ალი ჩაუვარდა. ცეცხლმა კუდი მოსწვა და კანიც დაუხეთქა.

მხოლოდ ახლა გაეღვიძა ნიანგს და რას ხედავს: ცეცხლის ალში ტრიალებს. საშინლად შეეშინდა. ერთი ნახტომით გამოვარდა ცეცხლის ალიდან და მდინარეში მოადინა ზღართანი, წყალში როცა შეტოპა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, თუ რა ამბავი იყო მის თავს: ბუჩქებში დამალული კურდღლების დამცინავი ხითხითი გაიგონა.

სიბრაზით კინაღამ არ გასკდა!

— აბა, გაბედეთ და როდისმე მდინარის ნაპირას მობრძანდით, არც ერთს არ დაგინდობთ, გადაგსანსლავთ!—დაიღრიალა ნიანგმა.

— აბა, შენ თვითონ გაბედე და გამოდი ნაპირზე, მაშინ ნახავ შენს სეირს,—მიუგეს კურდღლებმა.

თარგმნა **ციალა ქაროსანიძემ**

ყარყატი

ქუდუს მუხამადი

თუმც ხმა არა აქვს ყარყატს,
სურს რომ იმღეროს რაღაც.
ყური თუ უგდო კაცმა,—
ნისკარტით ასე მარცვლავს:
— ტუკ-ტუკ, ტუკ-ტუკ და ჭერი!—
ყარყატი ასე მღერის.

თარგმნა **ქ. გოგიაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი თენგიზ სამსონაძისა

ძმები

რევაზ ბერაძე

ძმები დილაადრიან
გეშით ზღვაში გადიან,
ზაზა მეზღვაურია,
კაპიტანი—გურამი,
თან ძიუკებათ ძურია
პირველ ნავსადგურამდე.

გამოიცან, ვინ ვარ?!

შოთა ამირანაშვილი

ცივ ზამთარში უზრუნველად
თოვლის ქვეშა მძინავს,
გაზაფხულზე ცისფერ თვალებს
ვახელ ბუჩქის ძირას,
დილის ცვარი მეპკურება
მარგალიტის მძივად.

ᲙᲠᲘᲐᲮ-ᲙᲠᲘᲐᲮᲐ

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘ

ზღაპარი

ეს ამბავი დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა. თურმე იმ წელს ისეთი საშინელი გვალვები იყო, რომ სულ გადახმა ყველაფერი; პურისა და სიმინდის ყანები, ხილი და ბოსტნეული ერთიანად-განადგურდა.

— მშიაა! პური მშიაა!—ყველგან მხოლოდ ეს ისმოდა.

იმ სოფლის შუაგულში ერთი ვეებერთელა ლეღვის ხე იდგა. იმ ხის ტოტზე კი ნაცარა ქათამი, კრიახ-კრიახა და ოქროსდეზებიანი მამალი, ყიყლიყო, ცხოვრობდნენ.

ერთხელ, მზე კიდევ მთის იქით იყო მიმალული, როცა მამალმა ფრთა ფრთას შემოჰკრა, კისერი წაიგრძელა და ომახიანი ხმით შემოსძახა: ყიყ-ლი-ყოო!

მალე მზეც ამობრწყინდა,—ახმაურდა სოფელი, გაიღვიძეს პატარებმაც და, ატყდა ერთი ვაი-ვიში: მშია! მშია!

— რა უგულო ხარ, ყიყლიყო!—გაჯავრდა კრიახ-კრიახა,—ამ უთენია რომ ყივი, ბავშვები მაინც არ გებრალება?—ხომ იცი, ძილში შიმშილს ვერ გრძნობენ. რა იქნებოდა ცოტა კიდევ სძინებოდათ.

— მოიცა, მოიცა! ჯობია, მაგ კაკანს თავი ანებო და ბავშვებისთვის კვერცხი გაიმეტო.

— უი, მართლა!—ფრთები გაასავსავა ქათამმა,——მე ბეჩავმა ეგ როგორ ვერ მოვიფიქრე?

და, იმ დღიდან მოყოლებული, ყოველ დილით, როცა მამალი „ყიყლიყოს“ დააგუგუნებდა, ნაცარაც წამოხტებოდა ხოლმე,

შეწუხდა ყიყლიყო,—ეს რა დამემართაო, მაგრამ თავი მაინც იმართლა: რა ვქნა, ჩემო კრიახა, მამლის წესი ასეთია, მე თუ არ დავიყივლე, გათენებას ისე ვერ გაიგებენ.

— ვერ გაიგებენ და, უფრო კარგი,—შიმშილს მაინც ვერ იგძნობენ.—ქოთქოთებდა ნაცარა.

ჯერ მარჯვენა ფეხსა და ფრთას გასჭიმავდა, მერე მარცხენას, ლეღვის ყველაზე მაღალ ტოტზე ახტებოდა, იქიდან სოფელს თვალს გადაავლებდა და ყურს მიუგდებდა; საიდანაც ტირილის ხმას გაიგონებდა, იმ ეზოში გადაფრინდებოდა და შიმშილით შეწუხებულ ბავშვს კვერცხს დაუდებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ერთი კვერცხისაგან გაკეთებული ტაფამწვარი უცებ ისე აფუვდებოდა და გაიზრდებოდა ხოლმე, რომ დიდ გობშიც კი აღარ ეტეოდა. ჰოდა, ამოდენა ტაფამწვარი ვის არ ეყოფოდა?!.

მალე სოფელში ტირილის ხმა აღარ ისმოდა. ბავშვები ახლა მთელ დღეებს სიცილ-კისკისსა და თამაშში ატარებდნენ.

ერთხელ სოფელს უბედურება ეწვია: საიდანღაც წუწკი მელია მოცუნცულდა, სწვდა კრიახ-კრიახას და სოროსაკენ გააქანა.

დაღონდნენ ბავშვები,—ახლა რაღა გვეშველებაო და ბევრი იტირეს.

ამ დროს, სად იყო და სად არა, ყურშა მოვარდა ყეფით:

— ჰამ, ჰამ! რა გატირებთ!—შეუღრინა ბავშვებს,—მაგ ტირილს სჯობია ხელკეტები და შურდულები აიღოთ და უკან გამომყვეთ. კვალს მე ვიპოვი და სოროსაც მალე მივაგნებთ.

— მზად ხართ?—შესძახა ყურშამ.

— მზად ვართ!—ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა და იარაღი ააღლარუნეს.

ყურშამ გულმოდგინედ დაყნოსა ახლომახლო ბუჩქები, ლეღვის ხესაც შემოურბინა და უცებ ერთ ადგილზე გაირინდა, ყურად-

ღებით დააკვირდა ნაკვალევს, დაყნოსა და, გახარებულმა კუდი გააქიცინა.

— ვიპოვე! აქ იწყება კვალი! აბა, მომყევით!—შესძახა ყურშამ.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, დაბურულ ტყეში ერთ ბებერ წიფელს მიადგნენ. კვალი იქ თავდებოდა.

— მოვედით. — თქვა ყურშამ და ყველა გაინაბა. მერე, ყურშას ბევრი აღარ უფიქრია, ეცა სოროს და წინა თათებით ხვრეწოლილი ახლა ყიყლიყოს მოტაცებაზე ოცნებობდა: იმასაც აქ მოვაბრძანებ და მერე ორივეს ერთად ჩავახრამუნებო, მაგრამ რომ აღარ დასცალდა! ძაღლის ღრენამ ტკბილი ოცნებები გაუფანტა. გულგახეთქილი წამოვარდა ზეზე და ხვრელს ეცა,—იქნება თავს ვუშველოო, მაგრამ უკვე გვიან იყო; გარეთ ყურშა დახვდა, სწვდა ქეჩოში და, ბიჭებმაც სეტყვასავით დააყარეს ქვები და ხელკეტები.

ლის გამოთხრა დაიწყო, თან სულ ღორინებოდა; ღრრ-ღრრ, ახლა სადღა წაგვიხვალო.

წუწკ მელას საბრალო კრიახ-კრიახა კუთხეში მიება კანაფით და მხართეძოზე წამოწოლილ მერე კი უვნებლად გამოიყვანეს სოროდან ნაცარა, და ზეიმით მიიყვანეს თავიანთ სოფელში.

ნახატები ედუარდ ამბოკაძისა

მთავარი რედაქტორი მ. ზ. ბ. ბ. ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ჩ 174/36

„...უხა" — ნახატი ელგუჯა მარსაგიშვილისა, 5 წ. ყაზბეგი.

„ჩემი სახლი" — ნახატი შოთა ყაზბეგისა, 6 წ. ყაზბეგი.

76055

„აყვავებული ხეები" ნახატი კახა ფიცხელაურისა, 6 წ. ყაზბეგი.

„გოგონა" — ნახატი ნინო არსენიშვილისა, 4 წ. თბილისი.

„ყაყაჩოები" — ნახატი მარეხ ჩოფიკაშვილისა, 6 წ. ყაზბეგი.



„თევზები" — ნახატი გიორგი ლალიძისა, 6 წ. თბილისი.